ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ63. 63251045**
თარიღი:**14/04/2025**

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 აპრილის N ბ 63. 63251043 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 14 აპრილის N ბ 63.63251043 ბრძანებაში.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 აპრილის Nბ 63.63251043 ბრძანების **მუხლი 2.** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. ქალაქ სამტრედიაში, სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ არსებულ სახელწოდების არ მქონე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, სახელის შეცვლისა და გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭების შესახებ.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

3. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გ.ლეჟავა/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 მარტის N:გ-63. 63250703 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. **სხვადასხვა.**

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი